# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 611

„19“ დეკემბერი 2023 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. №18-ის მიმდებარედ არსებული 84.28 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.16.022.003.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118$^{1}$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. №18-ის მიმდებარედ არსებული 84.28 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.16.022.003.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 13 დეკემბრის №23.1883.2095 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქ. №18-ის მიმდებარედ, 1 სართულზე არსებული 84.28 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.16.022.003.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, შორენა სილაგაძესთვის (პ/ნ. 29001010014) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე